



რომაელ ქალთა ბართობა.

მშვიდობით!

(ამხანაგ-მუშებს)

მშვიდობით! მაგრამ მე არასდროს არ მომწყინდება
შენი ხსენება, შენზე ფიქრი და მოგონება,
შენი ალერსი, სიყვარული, კვლავ მომინდება
და მწარე სევდით, შენი დასწვავს გულს დაღონება.

მე შენ მიყვარდა სულზე მეტად, სულზე უტკბესად,
შენთვის შეგქმენი მე ციური ლოცვა-გალობა,
შრომა, სიმართლე, გავიხადე ცხოვრების წესად
და შენს გარეშე, არ მინდოდა მე სხვა წყალობა.

დღეს-კი მივდივარ საყვარელო, დღეს-კი გშორდები
და მადლთან ერთად, მიმაქვს მწარე სევდა-ნაღველი,
თუმცა ვიტანჯები, მე ჩემს ბედსა გავუსწორდები,
მაგრამ არ ძალმიძს რომ წავშალო შენი სახელი.—

შენი სახელი! დიახ, გულზე აღმოკვეთილი,
ცრემლით, ვაგლახით, აუტანელ წვით და დაგვითა,
სევდით აღსავსე, მაგრამ წმინდა, მაგრამ კეთილი,
გაბრწყინებული დიად მიზნით, დიად ტანჯვით!

ვინ იცის, ეგებ მე გიმუხთლე, მე დავაშავე,
ველარ გიმღერე ღირსეული საგალობელი,
მხოლოდ-კი ცრემლი ამოვსწურე, სულ გავათავე
და დამრჩა მხოლოდ ნაღვლიანი სამადლობელი.

ვინ იცის, ეგებ მგონის სული უამურია:
ლანძღვას, დაცინვას, დამკირებას ვერ ურიგდება?
და მე-კი ტრობა ისე მინდა, ისე მწყურია,
რომ ჩემი მუხა უამისოდ, ჯოჯო იქნება!

მაგრამ ნუ მეტყვი, რომ მენახოს შენთან სიამე,
გარდა იმ მადლის, იმ ღვთიური სიყვარულისა,
რამაც დამკოდა, დამაობლა, ესრედ მძლია მე
და საუკუნოდ გადამკიდა ოხვრა სულისა!

შენ მუხა გერქვა! შენი სახე მრავალტანჯული,
სახატე იყო ჩემი რწმენის, ჩემი გრძნობისა,
გულს მიტოვებდა. შენი კვნესა, შენი მაყრული
და ბრძოლის ველზე, მხნედ მეჭირა დროშა ძმობისა.

მაგრამ იქ, სადაც: სიყვარული, მადლი სდიოდა,
შურმაც იფეთქა და ჩონგურზე შხამი დაიქცა,
სული გიხმობდა, გეძახოდა, სული ჰყოლოდა,
და სულ ამაოდ!—ჭახრაკიდან ველარ გაიქცა!

შენ შორს იყავი, ვერ გასმინე, ვერ გაგაგონე,
შენი მგოსანი, შენს ტაძარში როგორ ვკვდებოდი,
და სრულად რომ არ დამკარგოდა სიცოცხლის ღონე,
ჩემივე ნაღვლით, ცხარე ცრემლით ვიკვებებოდი.

და ჰა, ვშორდები, მაგრამ იმათ და, შენ-კი არა,—
კვლავ შენთან იფრენს სული ჩემი თავისუფალი,
ტაძარს ვშორდები, სად ნაღველმა გადაიარა,
სადაც დამიგმეს ოცნებისა შეფე-უფალი!

მათ-კი, ვინც ლანძღვით დამათასა და შემიწყნარა,—
შენდობას ვუთვლი, რადგან შური არა მწყურია,
მაგრამ იმათი საზიარო არა მინდა—რა,
თუნდ დევნილ ვიქმნე, ვით ბედ-კრული, ვინმე ურია!

გაივლის ჟამი: მათი ლანძღვით წავა, გაქრება
ისე, ვით მათი ლანძღვა, გესლი, შურით მთვრალობა,
მხოლოდ ცის მადლათ, საუკუნოდ თქვენთან დარჩება:
ჩემი ოცნება, ჩემი წმინდა ლოცვა-გალობა!

მშვიდობით! მაგრამ მე არასოდეს არ მომწყინდება,
შენი ხსენება, შენზე ფიქრი და მოგონება,
შენი ალერსი, სიყვარული, კვლავ მომინდება
და მწარე სევდით, შენი დასწვავს გულს დაღონება!



ბებუთოვების წინაპარი.—ნახატი ს. ერისთავისა.



მაჯლაჯუნა—ნახატი ხალილ ბეგ მუსაევისა.

გ. ლაონიკოს ლაქსაძე

I.
ქ ა ლ ს

მე თვალეში ჩაგაცქერდი ვით ტბის სარკეს მთვარის სახე და განცდილი სულისთქმანი შაირებად გამოვსახე..

გიმღერე და ჩემი ცრემლი იბნეოდა ჩანგის ხმებში როგორც მთვარის თინათინი შულამის ყვავილებში..

მეც არ ვიცი რისთვის მოველ, ღრუბელივით დავალ ობლად, შორეულო, რად გასახავდი, უკვდავების მახარობლად?

— შენს ტრფობაში ჩავეფერდლო! — რისთვის გთხოვდი ამის ნებას? დღეს თვალეში ჩაგაცქერდი მუნ ამსხვრევედი ჩემს ოცნებას.

სალამურსაც ხელი დაჰკარ, მღუმარებით შეჰხვდი ქებას, აწ ვარსკვლავებს შეეკვიითინებ: სად ვეძებდე უკვდავებას?!

II.
შ ა ი ს შ ი

მოგასმენდი: დღეს მაისი, ჰშეენის როგორც პატარძალი, მიწა მღერის ჩონგურივით, აამღერა ცამ ორძალი. მაგრამ...

ქარიც გამოსხლტება ვით მერანზედ ამოძალი მოვა ბნელი შემოდგომა, მოველება ფანჯრის მინებს და პეპლების სიცოცხლეზე დიდხანს, დიდხანს იქვითინებს!.

მეტყოდინ: თუ სიცოცხლე ჰქრება როგორც ვარდზე ცვარი, ვით ფარვანა შეწინწკლული სხივთა ტაშზე მაცეკვარი. ახ! უდროვოდ ჩამოსკენების შენი ჰრელი ყვავილნარი და გაირბენს ყოველივე ვით უდაბნოს ცელქი ქარი. მე კი... მინდა ვიმაისო, სიტკბოების შევსვა ღვინო, მსურს ღიმილი ღაწვს მოვსწყვიტო, კოცნით ბაგე შემოფენო სილამაზით ვისიამო, შაირებით მოვიღბინო ვაწკრიალო: თავადი ვარ სადაფნო და სავეირგვინო!..

მზე კი ჩადის.. ბინდის ტბაში, საუამე კი ისევ ჰგეოვს, წუთებს წუთზე ასამარებს სიკვდილს უხმობს და ჰპატიუობს!..

III.
შ ა ი რ ი

ეგ თვალეში ისე მოსჩანს ვით აღმასი შავი, ვით ვარდები არაბული გიშრად ანაყვავი.

ეგ ნაწნავი დაშვებული, როგორც შავი გველი, ეგ სიტყვები საამური ვით ამბავი ძველი..

გიმღეროდი: ყვავილი ხარ, ოცნებაში შლილი, უკვდავების შაირი ხარ, მზეზე დაფერფლილი..

მე შევედგი.. ვით შედგება დასასრულზე მთვარე და ვიძახი: რისთვის გნახე, რისთვის შეგიყვარე?!

ქ. თბილისი, 21 მაისი.



ალ. სუმბათაშვილის პატივსაცემლად გადახდილი ნადიმი ალ. სუმბათაშვილი (X)



ინგლისური კრესერის ამუქირის, პოგის და კრესის ღალუპვა გერ-
მანელ წყალქვეშა ნავის მიერ. (წყალქვეშა ნავის ლულა წინა პლან-
ზე მოსჩანს).



† I. შაშიკანი.
პრეზიდენტი ჩინეთისა.

„სახელოანი“

(მცირედი რამ ამბავი)

თუ აფრასიონი ბედსკან დაჩაგ-
რულის წინაშე კრავის სიშვიდით და
მწირის სიმდაბლით იმოსებოდა, სამა-
გიეროდ ძალმომრეობის და უსამართ-
ლობის წინაშე ლომის გამბედაობას
და ვეფხვის სიმკაცრეს იჩენდა. სადაც
უნდა გაჩენილიყო უსამართლობისა
და ძალმომრეობის მსხვერპლი, აფრა-
სიონი მყისვე იქ იბადებოდა და სი-
ტყვიით, წერიტით, თუ მოქმედებით იცა-
ვდა განურჩევლად ვინც უნდა ყოფი-
ლიყო ეს მსხვერპლი.

იცავდა აფრასიონი იმათაც კი, ვინც
სრულიად არა საჭიროებდნენ მის და-
ხმარებას და თვითონაც უკეთესად
შეეძლოთ თვისი დაცვა. მხოლოდ ამ
უკანასკნელთ აკვირვებდათ აფრასიონის
უცნაურობამდის მიღწეული
ენერგია და გულმტკინველობით წა-
მოიძახებდნენ ხოლმე: „საწყალი, ეტ-
ყოზა რაღაცა სწადიან გულში და
იქნება ბევრი კარგის გაკეთებაც შეს-
ძლებოდა თვისი ენერგიის წყალობით,
რომ სრულ ჭკვაზედ იყოსო.“

რომ მართლაც დაუშრეტელი ენე-
რგიის პატრონი იყო აფრასიონი — ამას
ერთხმად ადასტურებდნენ მისი მო-
სისხლე მტერნიც კი და მგონია ეჭვ-
საც ვერავინ შეიტანს აფრასიონის
მტერთა სიმრავლეში, ვინაიდან კაცი
რაც უფრო სახელოვანია, მით უფრო
მომეტებული მტერი ჰყავს მას.
ეს არის სმენა ჰქონდა აფრა-
სიონს სულ სხვა ნაირი თვისები-
სა. მაგალითად მისგან ნაძალადე-
ვად დავალებულთაგან გულმტკინვე-
ლობით წარმოთქმული სიტყვები სრუ-
ლიად უკუღმა გადმოტრიალებით ეს-
მოდა მას ასე: „რა დიდი ჭკვისა, გა-
ოცდილებისა და ენერგიის პატრონი

და დაუზარებელი მფარველი გეყავსო“
მარტო სმენა არა ჰქონდა აფრა-
სიონს განსაკუთრებული თვისებისა.
სმენაზედ უფრო შესანიშნავად მხედ-
ველობა ჰქონდა განვითარებული. ნი-
ჭი მხედველობისა ისეთი ძლიერი
ჰქონდა მას, რომ იგი ჰხედავდა არა
მარტო იმას, რაც მის თვალწინ ედო,
არამედ, იმასაც, რაც მის ზურგს უკან
ჰხდებოდა.

აი გამოიქროლა აფრასიონმა ქუჩა-
ში, როგორც ჩვეულებად ჰქონდა;
ყურადღებას არც კი აქცევს ვისმე,
ვინაიდან მისი ფიქრი და გონება
ყოველთვის შეპყრობილია უზენაესი
საგნებითა და აზრებით, ჩვეულებრი-
ვი ქვეყნიური არა სწამს რა მას. ხო-
ლო თუ იგი არ აქცევს არავის და
არაფერს ყურადღებას, სამაგიეროდ
სხვანი მას აქცევენ დიდ ყურადღებას.
აფრასიონი მიჰქრის თავის გზაზედ,
მაგრამ ამავე დროს ნათლად ჰხედავს,
რაც მის ზურგს უკან ჰხდება. ჰხედავს:
როგორ იკრიბება ჯგუფ-ჯგუფად ხალ-
ხი მის გავლის შემდეგ; როგორ უთი-
თებენ ერთი-ერთმანეთს მახედ — ეგ
არის დედ-მამის მკვლელო. და ამ
სიტყვებს და ბევრს სხვა მათ ნალა-
პარაკევს მისი ჩქარი სიარულით ამ-
დგარი ნიავი მიაქროლებს მისკენ და
მის სმენამდის აღწევს ისევე გადა-
ტრიალებით: „ეგ არის მფარველი ჩა-
გრულთა, პატრონი უპატრონოთა,
მკვლეველი მშობელთა“ — მიუხედა-
ვად იმისა, რომ გარდა დაცინვისა
და უკანასკნელი სიტყვებისა არაფერი
არავის ამოსდიოდა პირიდან აფრა-
სიონის შესახებ, ხოლო სმენას პირ-
დაპირა ჰხედებოდა და არა გადატრია-
ლებით, რადგანაც ესენი ყველაზედ
მეტ სიამოვნებას ჰგვრიდნენ მას. და,
ჰაი, ჰაი, რომ არა ყოფილიყვნენ სა-
სიამოვნონი: მშობლების მკვლელობამ
არ გაუკაფა და გაუკვალა აფრასიონს

გზა „სახელოანობისაკენ“?!

XII

სინამდვილით ასრულდა აპალონის
იმედი და რწმენა, რომ შვილი მახედ
„სახელოანი“ გამოვიდოდა. მართლაც
აფრასიონის სახელოვანობამ დიდად
გადააქარბა მამის „სახელოანობას“.
თუ აპალონს იცნობდნენ იქ, სადაც
ხმა მიუწევდებოდა, აფრასიონს იცნობ-
დნენ მთელ ქვეყანაზედ, სადამდისაც
აღწევდა ბეჭვდითი სიტყვა. ბეჭვდითი
სიტყვა კი თითქმის მთლად აფრასიონის
სახელს ემსახურებოდა. ყველა გა-
ზეთები პირალებით სავსე იყო ხოლმე
მისი სიტყვა-მოქმედების აღწერით.
როცა ბინაზედ ბრუნდებოდა აფრასი-
ონი დასასვენებლად, იღლია სავსე
ჰქონდა ხოლმე სხვა და სხვა გაზეთე-
ბით. ყოველ გაზეთში უთუოდ ეგუ-
ლებოდა რამე თვის შესახებ დასტამ-
ბული და ამისთვის არა ზოგავდა ერ-
თი-ორად და ბევრჯელ ერთი-ათა-
დაც ღირებულ ფასზედ მეტი მიეცა
თვითეულ გაზეთის ნომერში.

დიდი ზღვარი იღო აფრასიონის
ახლანდელ სულიერ განწყობილებასა
და მას შუა, რაც გამოსცადა მან და-
მარცხების ღამეს. თუ მაშინ ტიროდა,
ახლა, როცა კითხულობდა გაზეთებში
თავის შესახებ რამეს. სიამოვნებით
იცინოდა; თუ მაშინ ხელებს იქნევდა
გაჯაგრებული, ახლა სიხარულისაგან
მალლა-მალლა ხტოდა; თუ მაშინ ბურ-
ტყუნებდა და ვიღაცას ემუქრებოდა
მუშტებ მოღერებული, ახლა ნიშნის
გებით ეუბნებოდა იმავე ვიღაცის
აჩრდილს: „ჰი, ოლოლო შენ! შენა
ხარ „სახელოანი“, თუ მე? შენ გხდი-
ან ჩაგრულთი მფარველად და უპა-
ტრონოთა პატრონად, თუ მე? ის
კი არ იცოდა აფრასიონმა, რომ მისი
მეტაქე, ვის აჩრდილსაც უთუოდ ახ-
ლა ელაპარაკებოდა, ალბად შრომის-
გან საკმაოდ დაუღალა, დაღა ხა ი


სამოქმედო ასპარეზს ჩამოშორდა და
დროს განსვენებასა და განცხრომაში
ატარებდა.

მართალია ღერენლობის შესახებ
გაცრუვდა აპალონის წინასწარმეტყვე-
ლობა და იმედიც, მაგრამ თუ ცოც-
ხალი იქნებოდა იგი და თავისი თვაი-
ლით დაინახავდა ასე ბრწყინვალედ
დაგვირგვინებულ მომავალს შვილისას,
თვით იგივე დაამოწმებდა, რომ ვერა
ღენერლის სახელი ვერ შეედრებოდა
აფრასიონის მიერ მოხვეჭილ „სახელო-
ანობას“. რა ვიცი თუ ცოტათი არ
დაჩრდილა ეს „სახელოანობა“ იმ გა-
რემოებამ, რომ აფრასიონში ხელმეო-
რედ თავი იჩინა ცვლილებამ.

ერთად ერთმა ღმერთმან უწყის, თუ
რა იყო ნამდვილი მიზეზი: გულწვი-
ლობა ანუ სიბრაღული მჩაგვრელთა-
დმი, რადგანაც მეტის მეტად შეაკ-
რად ებრძოდა მათ აფრასიონი დაჩა-
გრულთა სასარგებლოდ, თუ სხვა რამ
გულს ნადები საიდუმლოება მისი,
მხოლოდ ეს კი ყველასათვის ცხადი
იყო, რომ მასში კიდევ დიდი ცვლი-
ლება მოჰხდა.



პრაპ. ირ. ლუარ. ხელაძე.
(მოკლულა ოსმალეთის ასპარეზზე,
წელს 25 აპრილს)



გზინაპი ყუზარაჟი.

ყური ვათხოვოთ აფრასიონის თავის თავთან საუბარს, თუ რა შიში შეპარვოდა მას გულში: „შევილი კი ვშველი დაჩაგრულთ მაგრამ ვაი თუ მათ შური იძიონ თავის მჩაგვრელთაგან და ეს უკანასკნელნი არამც დასჩაგრონ — უფრო მომეტებულიც დაჰმართონ მათ. მაშინ ხომ გადაბრუნდა და მთლად დაინგრა ქვეყნიერობა? მეც ხომ წილი შეიღება ქვეყნიერობის ამ დანგრევაში, ვინაიდან ხელი შეუწყე მე დაჩაგრულთა მიერ შევების მოპოვებას? ჩემი გულითადი მისწრაფება კი მარტოდ-მარტო იმაში მდგომარეობს, რომ არ დავანგრიო კი, არამედ ავაშენო და ავაყვავო მთელი ქვეყნიერობა და მხოლოდ ამისთვის ვიღწვი თავგანწირულად. მაშასადამე ამიერიდან მე უნდა ვიტვიტოთ მფარველობა დაჩაგრულთაგან დაჩაგრული მჩაგვრელებისა“.

როცა სახალხოთაც გამოაცხადა აფრასიონმა თავის-თავთან საუბარი და

ბევრნი გაკვირვებით შეეკითხნენ, თუ რა გზით და საშუალებით შეეძლოთ დაეჩაგრათ უძლურთ ძლიერნი, არა ნაკლების გაკვირვებით წარმოსთქვა მან: „ამას ხომ მე თვითონ ვამობ და ვამტკიცებ და ნუ თუ ეჭვი ვისმე შეაქვს ჩემს ნათქვამშიო“. ეს საბუთი-კისრულად საკმარისი იყო, რომ თუ ყველას არა, მის თანამოაზრეთ მაინც შეურყეველ ქეშმარიტებად მიეღოთ და მიიღეს კიდევ მისი ნათქვამი. მხოლოდ ის-ღა იყო ახლა საჭირო, რომ აფრასიონის მიერ ნაკისრები ახალი ტვირთისა თუ მოვალეობისა დაგვარად შეცვლილიყო მისი წინანდელი წოდებაც „ჩაგრულთა მფარველობა“.

მიეღო მარტო წოდება „მჩაგვრელთა მფარველი“ — ეს არ იქნებოდა ნამდვილი და სრული გამომხატველი მისი ღვაწლისა და არც თუ სასახელო რამ იქნებოდა მისთვის მარტო ასეთი წოდების მითვისება. მიეთვისებინა პირდაპირ წოდება: „დაჩაგრულთაგან დაჩაგრულ დამჩაგვრელებს მფარველი“ — ეს კიდევ როგორღაც მოუხეშავად და უხერხულად გამოდიოდა. ამ გაკვირვებიდან ისევ თავის თავთან შეკითხვამ იხსნა აფრასიონი: „განა უფრო ფართე მნიშვნელოვანი და მოსადესიც არ იქნება, შეეკითხა იგი თავის თავს, რომ ვიწოდებოდე ქვეყნიერების მხსნელად?“ და თითქმის ჯერ არც კი დაემთავრებინა ეს შეკითხვა. რომ იფეთქა მთელ მოფლიოზედ და აფრასიონის სმენასაც ტკბილად შემოესმა: „ქვეყნის მხსნელი აფრასიონ გვარაძე“.

არც თვისი ცვლილებანი, არც წინანდელი წოდების ახლად შეცვლა და გადაქმნა ისე არ გაძნელებია აფრასიონს, როგორც ერთი რამ გაუძნელდა და გაუჭირდა მას. საქმე იმაში მდგომარეობდა, რომ აფრასიონის „სახელოანობა“ კიდით კიდემღზ სწვდებოდა და ჰყვავოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ბევრნი შეხვედრის დროს ვერა სცნობდნენ მას. ეს გარემოება

კი, აფრასიონის აზრით, ჩუქვედ წესიერებას საერთოდ ქვეყანაში რომლის აშენებასა, გამშენებასა და აყვავებაზედ იგი დღე და ღამ ფიქრობდა. ქვეყნის ამ ნაკულევენების შესაფუძვლად იგი შეეცადა გამოეგონა რამე ნიშანი, რომელიც საჩენ ადგილას ექნებოდა მას გაკეთებული, რომ ყველას ეცნო იგი.

რაიმე ჩვეულებრივი ნიშანის გამოგონება არც თუ ისე ძნელია და რასაკვირველია აფრასიონისათვისაც არ შეადგენდა სიძნელეს. მხოლოდ ისეთი განსაკუთრებული თვისების ნიშანის მოგონება კი, რომლის ერთი თვალის მოკვრით უნდა გაშგო ადამიანს, როგორც აფრასიონს ჰსურდა, ვინაობა და მთელი შინაარსი მისი მატარებელისა, მართლაც რომ დიდი თავსატეხი საქმე იყო. იტებდა კიდევ თავს აფრასიონი, მაგრამ ვერაფერი ვერა გაეწყო რა.


(დასასრული იქნება)

მელანია.



ალ. ყანჩელი: („ციცერნაკის“ ხმაზე)


„კავკასკოე სლოვოს“ ერთი ბურჯი ვარ, მესროფს ვფიცავ, რომ ნამდვილი გურჯი ვარ აზროვნების დეკადანსის უნჯი ვარ, თქვენ რა იცით, ფუტურუსის ფუნჯი ვარ სემიონოვის ფანჯაფინას თუჯი ვარ, — მაგრამ მახლას! წკებლა ხელში მეჭიროს, სხვის მაგივრად თვითვე გადამეჭიროს!



გ. მ. თუმანოვი: ვაცურავე, ვაცურავე, ისევ მევე გამაცურეს.



სიძვირე თბილისში.



— ეგ რა დაგმართნია? — ოთხი თუმანი მიმიცია, არ მინდა უბრალოდ გავცვიოთ!